



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 67

2013 წლის 19 აპრილი

ქალაქი ხაშური



„საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 26 ივლისის N26/07/12 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 2012 წელში აუთვისებელი სახსრების ნაშთის გამოყენების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 8 თებერვლის №23 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2013 წლის 11 აპრილის #05/02-12/29672 წერილის შესაბამისად:

1. განხორციელდეს ცვლილებები ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 8 თებერვლის N23 განკარგულებაში და 1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 26 ივლისის N26/07/12 განკარგულების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების თავისუფალი (აუთვისებელი) ნაშთის 7 922 ლარის ფარგლებში განხორციელდეს ქალაქ ხაშურში, რუსთაველის ქ. #38 მდებარე „ყოფილი საავადმყოფოს“ შენობის წყალმომარაგების სამშენებლო სამუშაოები.“
2. განკარგულება შესასრულებლად გადაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე

